



გაზეთის ფასი

| | | |
|--------------------|-------------|-------------|
| აღიღებში: ბაზაენით | ბაზაენით | ბაზაენით |
| წლისა — 7 მან. | — 6 მან. | — 50 კ. |
| თვისა — 4 — 50 კ. | — 3 — 50 კ. | — 2 — 50 კ. |
| თვისა — 2 — 50 კ. | — 2 — 50 კ. | — 2 — 50 კ. |
| თვისა — 1 — 50 კ. | — 1 — 50 კ. | — 1 — 50 კ. |
| ერთი ნომრისა | — 15 კ. | — 15 კ. |

ფრომბა

თვილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლში. თვილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь контору редакциі грузинской газеты „ВРЕМЯ“. შუთაისში — ლ. ლ. ლ. უ. ა. ს. თ. ა. ნ. — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიევის სახლში.

პეტრის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისაზე მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიას და ისე დაბეჭდს გაზეთში.

საკონლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მანუთი.

ხელის-მოსწავრა „დროებაში“ შვილობილად

თვილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლში.

შუთაისში — ბერასიმე ძალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლუარსაბ ლულუასთან.

თვილისის და შუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ: Вь Тифлисъ. Вь контору редакциі грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типогра- Меликова и К-о.

ხელ-მოსწავრა ფასი:

| | | |
|--|-----------|-----------|
| | ბაზაენით: | ბაზაენით: |
| | მან. კაპ. | მან. კაპ. |
| ერთი წლისა თვილისში და აგრეთვე გარეშე აღიღებში | 6 | 7 |
| ნახევრის წლისა | 3 | 50 |
| სამის თვისა | 2 | 2 |
| ერთი თვისა | 1 | 1 |

გამოავალ ხელის-მოსწავრას უმორჩილესად ვსთხოვთ, დაბარებისა თანა-გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ხელ-მოსწავრა ფასი და გარკვევით და-ბეჭდილი თამბაქო ადრესი, ე. ი. სასწავლებელი ადგილი, სახელი და გვარი.

ამ წლის ხელის-მოსწავრას უმორჩილესად ვთხოვთ გაზეთის ფული მალე მოგვბრუნონ.

თუ რომელსამე ამ წლის ჩვენ ხელის მომწერლებს რომელიმე **№** დააკლდათ „დროებისა“, ეთხეთ შეგვატყობინონ და ვეცდებით შეუსრულოთ.

შინაარსი:

რედაქციისაგან. — საქართველო: „დროების“ რედაქციაში. — ბიბლიოგრაფია. — რუსეთი. — წერილი. — მისი ამბები. — უცხო ქვეყნები: აგს-სა და ბერძანთა. — სფრანგეთი. — ლიტერატურა. — თეატრალური. — ნარევი. — მანცხა-ბეჭდები.

მეტონი — უელტონისტი გოდება. 6. სკანდელისა

დღესასწაულების გამო, „დროების“ ამჟამად ასევე 51 ნომრისა რამდენიმე დღე დაიგვიანა.

ფელტონი

ფელტონისტი გოდება

Ахъ боже мой, что становъ говорить
Княгиня Марья Алексѣвна?
„ГОРЕ ОТЪ УМА“

ერთი შემთხვევა უნდა გიამბო, ჩემო სა-
ბეჭდო მკითხველო, ისეთი შემთხვევა, რომ
ამბავი ძლიერ მოკლე და სასაცილოა. ამ
ხარებით მე შენ გართვას და განხლისებას
გაგაგებ, იქნება დღესასწაულებში ერთი ნა-
წილი საათის სიამოვნება მინც ჩემი მხრით
გაგაგებ.

გამ... შევეყანაში უმარამოთ არა ხდება
და ჩემი ბედი ისეთი უცნაურია, რომ სა-
ბეჭდო სამის სიტყვის თქმა საჭირო და სა-
ბეჭდო, იქ მე დაუბოლოებელ წილადობილას
და მოგიყვებ: და, სიამოვნების მაგიერათ, გა-
ბეჭდის ოფლი გადინო ჩემი ფელტონის
ფასის დროს...

ბედს ჩემზე ისეთი ძალა აქვს, რომ მე
მარჯობა ვერ ვებედავ მისგან გათავისუფლე-
ნატვრას. მე იმას კარგა ხანია დავემორ-
ჩევი, და როგორც შემძლია, ისე ვსწევ ჩემ
ფასს, სანამდი ძალა გამატანს. მერე...

მერე? — ამ საგანზე შენ რა გაქვს საუბრე-
ბელი?

მაშ, ამბის მოთხრობის წინ, ჯერ მთელი
თაბახი უსარგებლოთ იმით უნდა ავაშსო, სად
მოხდა ეს ამბავი.

ერთი ქვეყანა არის დედა მიწაზე — შვედლი,
უნდა მეთქვა: „სადაც“ — რომელსაც სახელი
შსახელო ჰქვია; რომელიც ჩვენსას სრული-
ადაც არ ჩამოგავს, არც ჩვენი მფობლებისას,
არც ჩვენი ნაცნობებისას, არც ჩვენი მეგობ-
რებისას, არც ჩვენი მტერებისას, ერთი სიტ-
ყვით არც ერთს არა გავს და არც ერთთან
მისვლა-მოსვლა არა აქვს.

ამ ქვეყანაში სახლები უკულმა დგანან, კა-
ციებს ჩვენებური არა აქვს, თითო თვალის
და შევიღებურს მეთი. წყლის მაგიერათ იქ შარ-
ბათია მდინარეში და პურის მაგიერათ ხალ-
ხი მანანით ძღება. ძალები, ხომ, იმ ქვეყანაში
სხეულიად არ მოიძებნებინ.

კაციები... უკაცრავთ ძიღვე, შვედლი
ჩემო ბატონო. — კაციებს თავი დაეწებოთ...
მიწა — სულ სიბი ქვა და ქვიშაა. რაღა ბევრი
გავაგებლო, „შსახელო ქვეყანა“ სრულებით,
სრულებით, სრულებით ჩვენსას არ ჩამოგავს

სამართველო

„დროების“ ალსარება.

ერთი რომელიმე „დროების“ ნომერი რომ
აიღოს მკითხველმა ხელში და გადახედოს, ის
რამდენსამე განყოფილებას წახავს ამ გაზეთ-
ში; მაგალითად: მოწინავე სტატიები,
საქართველო, რუსეთი, უცხო ქვე-
ყნები, ომის ამბები (ამჟამად), ნა-
რევი, განცხადებები და სხვ. რომე-
ლიც გნებავთ, სხვა გაზეთი აიღეთ და დარ-
წმუნდებით, რომ ყველა ისინიც სხვა და სხვა
განყოფილებებთან არიან დანაწილებულნი. მა-
ნათლებულ ქვეყნებში, საცა გაზეთებს ათასო-
ბით და ათი ათასობით ჰყავთ ხელის-მოსწავრ-
ლები და საცა ისინი ყოველ დღე გამოდიან,
თითოეულ ამნაირ განყოფილებას რედაქტო-
რისაგან ცალკე პირი ჰყავს მიჩენილი, რომე-
ლიც მხოლოდ ამ თავის განყოფილებისთვის
აგროვებს ცნობებსა. რედაქტორი ვალდებუ-
ლია მართო ყური უფლას, რომ სხვა და სხვა
განყოფილებებისთვის მოგროვილ ცნობებსა
და ამბებსა ერთი სული ედგას და ერთგვარი
ზედმოქმედება ჰქონდეს მკითხველზე; ის ვალ-
დებულია, რომ ერთს განყოფილებაში გამო-
თქმული აზრი, ან მოყვანილი ამბავი არ ეწინა-
აღმდეგებოდეს მეორე განყოფილებაში გამოთ-
ქმულსა.

შველა ეს პირები, რომელნიც ამ გვართ
მუდამ შრომობენ გაზეთისთვის, არიან გაზეთის
მუდამ თანამშრომლები, ისინი
შეადგენენ რედაქციას.

პარგათ გამართულს გაზეთებს, მუდამ თანა-
მშრომლებს გარდა, ჰყავთ კიდევ გარეშე
თანამშრომლები, ანუ კორრესპონ-
დენტები, რომელნიც სხვა და სხვა ადგილე-
ბიდან სწერენ ხოლმე ამ გაზეთებში ყველა-

ფერს, რისთვისაც კი დაუჭირებიათ თვალ-
და რაც ღირსია მკითხველი საზოგადოების
ყურადღებისა. ზოგიერთი მდიდარი გაზეთები
საკუთარ კორრესპონდენტებს გზავნიან ხოლ-
მე სხვა ქვეყნებში, ამბების მოსაწერათ, თუ
ამ ქვეყნებში შესანიშნავი რამე ამბავი ხდება;
მაგალითად, ამერიკაში რომ ომიანობა იყო,
1864—66 წ., ინგლისურმა გაზეთმა Times — მა
საკუთარი კორრესპონდენტი გაგზავნა იქ; ახ-
ლანდელ ომშიც ყველა ცოტადანთ შეძ-
ლებულ გაზეთებს ჰყავთ საფრანგეთში თავის
კორრესპონდენტები, რომელნიც დაწერილე-
ბით იწერებინან იქაურ ომიანობის ამბებს, და
Times — ს კი, ერთის მაგიერათ, სამი თუ ოთხი
კორრესპონდენტი ჰყავს.

ამნაირათ განათლებული ქვეყნების გაზე-
თებს აქეთ საშუალება კარგათ წაიყვანონ თა-
ვიანთი საქმე და სინტერესო ცნობები აცნო-
ბონ და ამბები უამბონ თავის მკითხველებსა.
ამ საშუალებას (ბევრი თანამშრომლების
ყოლას) იმათ აძლევს თვითონ საზოგადოება,
რომელსაც ეხალისება ქვეყნის ამბების შეტ-
ყობა და იმიტომ იწერს გაზეთებს. მანათლე-
ბულ ქვეყნებში ეს ორი საქმე: გაზეთის სი-
კეთე და იმის გავრცელება საზოგადოებაში
ე. ი. საშუალების მომატება — თითქმის ყო-
ველთვის კული კულზე არიან ერთმანეთზე გა-
დაბმულნი: ერთი მხრით, იმ ქვეყნებში, თუ
გაზეთი კარგია, ბევრი საშუალება ექნება
ბევრი ხელის მომწერლებისაგან, და მეორე
მხრით, თუ გაზეთს ბევრი ხელის მომწერელი
ჰყავს ან სხვა საშუალება აქვს, იმას შეუძლია
კარგათ წაიყვანოს თავის საქმე.

ახლა ცოტა ჩვენსა მოვიხედოთ. აბა,
როგორი სურათი დაგვიხედება ჩვენ თვალ
წინა? თუ, როგორც ამბობენ, გაზეთების, ყურ-
ნალებისა და წიგნების სიმრავლე და სიკეთე
მელიც, შემდეგ გაქრა და გადიკარგა.

ახლა ჩვენ საუცხოვოთ ვიცით ადგილი და
დრო; მაშასადამე დამწიფებელი სინიღისით
იმის გამოკვლევას შევუდგეთ, თუ ვინ იყო
მოთხრობის მოქმედი პირა.

ის იყო არც კაცი, არც მხეცი, არც ცხო-
ველი, არც ხე, არც მცენარე, არც მადნეული,
არც არაფერი, რაც კი ჩვენ ქვეყანაში არსე-
ბობს, ან რასაც კი უარსებებია. ის იყო
„რაღაცა“....

აქ, ჩემო მკითხველო, ცოტადანთ მოთ-
ხრობა უნდა შევეწყვიტო, ამიტომ რომ მე-
შინია, გული არ მოგივიდეს, ფელტონი კუ-
თხეში არ მიადგო, — და არ თქვა, ეს ოხერი
რას მიედ-მოედებოა.

ხუმრობა გაზეთით, შეუძლებელია წარ-
მოიდგინოს კაცმა ჩვენებური ფელტონისტი
და საზოგადოთ ყურნალისტი მდგომარეობა.
შოველმა, თითქმის, მისმა სტრიქონმა, ყო-
ველმა აზრმა ათასწირ ჩიხლისში და ქახაკ-
ში უნდა გაიაროს, სანამ მკითხველს მიუახ-
ლოვდება, და მხოლოდ მაღალმა ღმერთმა

რომელსაჲმ საზოგადოებაში მოასწავებს ამ საზოგადოების ცნობის მოყვარეობას და განათლებას—მაშინ, საუბედურაოთ, ეს სამოსახლავი არ იქნება; ეს სურათი არც ჩვენი საზოგადოების ცნობის მოყვარეობას და არც განათლებას დამტკიცებს.

მილანარაკოთ აქ მხოლოდ „დროებაზე“, რომელიც, როგორც უნდა იყოს, სხვა ქართულ გაზეთებზე და ჟურნალებზე უფრო გავრცელებულია ჩვენ მკითხველ საზოგადოებაში.

რამდენი მუდამ თანამშრომელი ჰყავს „დროებას“? თუმცა გერცხენია ამ რიცხვის გამოთქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი: „დროებას“ ახლა ორი მუდამ თანამშრომელი ჰყავს, რომელიც რედაქციას შეადგენს. ორი კაცს, რასაკვირველია, ყოველთვის შეუძლია ისეთი პატარა გაზეთის გამოცემა, როგორც „დროებას“, ისიც კვირაში ერთხელ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ გაზეთი ამ ორი კაცსაც ვერ აღწევს იმდენ ღონისძიებას, რომ იმის შემოსავალი გაზეთის ხარჯსაც უფლებს და იმათაც; ამის გამო ისინი იძულებულნი არიან სხვა პურის მძღველ საქმესაც მოჰკიდონ ხელი. მა გახლავთ „დროების“ მუდამ თანამშრომელები...

ახლა გარეშე თანამშრომელები, ანუ კორესპონდენტები. შენან „დროებას“ კორესპონდენტები? შრიცხვი და უნდა იყოს! რედაქციის ყუთში რო ჩაახდოდა კაცი, გაუკვირდება — ამდენი კორესპონდენტი და სტატიები საიდან მოგროვდება. მა გარემოება, რასაკვირველია, სასიამოვნოა; ეს ან იმას ნიშნავს, რომ მწერლობას პატივით ადევს ჩვენში და ამის გამო ყველას მსურს მწერალი გახდეს, ან იმას, რომ ჩვენ ყველაფერი გესურს განუზიაროთ სხვებს და გულში ჩამარხვა რისამე არ გვიყვარს... მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ამდენი კორესპონდენტი და სტატიები ტყუილია, დაუბეჭდავია აწყვია რედაქციის ყუთში: ყველა, ვინცა შეუძლია და არ შეუძლია წერა, აგზავნის გაზეთში დასაბეჭდავად თუ ღრუბანს სტატიებს, თუ უკუღმა კორესპონდენტებსა და ფუტურა ლექსებს.

„დროებას“ რომ შეძლება ჰქონდეს, იმას ჩვენ ორიოდე ქალაქში თავის საკუთარი კორესპონდენტები ეყოლება, თვითონ რედაქციას მისცემდა საშუალებას ახლანდელზე უკეთ წაეყვანა გაზეთის საქმი, ერთის მაგივრათ სამჯერ ან ყოველ დღე გამოიცემოდა კვირაში და სხე. მაგრამ ღონისძიება თუ არ იქნა, არაფ-

იცის, რა ფასათ უჯდება იმას ეს გავლა... მა როცა გაქაჩილი და გარუჯული აზრი მკითხველს მიუღა, ყველა მხრიდან კიდევ აყალბავალი და სამღურაო სტყუბა! —

წარმოვიდგინოთ უბრალო და სრულიად უმნიშვნელო აზრი: „ქალმა ქუჩაში გაიარა.“ რა ამ აზრზე უფრო უძლიერი და უუნებელი? ხომ არაფერი? აბა, მობრძანდით, და დაბეჭდეთ. ჯერ ხომ რედაქტორი ხელ-ფეხ კანკალით გკითხავს, თუ ძმა ხარ, მითხარა, მაგ აზრში საშიში ხომ არა არის რაო. მერე ამწყობი, სანამ აწყობდეს, ორჯერ სამჯერ მაინც გეტყვის, ვთუ თუ წასაშლელი გამიხდესო. ბოლოს... ბოლოს როგორც იქნა დაიბეჭდა. დარწმუნებული იყავით, რომ დაბეჭდილ ცხემლიარში ასე ეწერება: „ერთ უცხო ქვეყანაში, ერთ სულიერს თურმე ქუჩაში გაუფლია; ზოგიერთები ამბობენ, ვითომ ეს სულიერი ქალი იყოო. მაგრამ ეს საგანი ჯერ კარგათ გამოკვლეული არ არის.“

შენა ნხო მეორეს და მესამეს დღეს, რამაბაია ჩვენ პაწაწინა წერში. მართი ქუჩაში ხელს გავლებს და გეუბნება, აჰ, შე ასეთო, შე ისეთო, როგორ გამიბედავ ცოლის გალანძღვა, მაკადე, ვიჩიოლო, გაჩვენებ შენს სე-

რის გაკეთება არ შეიძლება. ამ ქმად „დროებას“ სამასამდი ხელის მომწერი ჰყავს და ამ რიცხვიდამ თითქმის ასს ჯერ არ შემოუტუნიათ გაზეთის ფული. მამოიანგარიშეთ — რადარჩება და მერე თქვით — აქვს საზოგადოებას უფლება ემღუროდეს „დროებას“, თუ არა?

მკითხველს ვთხოვთ, ყველა ეს ლაპარაკი რედაქციას სასოწარკვეთილებათ და თავის საქმეზე ენერჯის მოკლებათ არ ჩაუგდოს. ახლანდელ „დროების“ რედაქციას იმედი აქვს, რომ ჩვენი საზოგადოება, აღრე იქნება თუ გვიან, როგორც რიგია, გაიგებს და დააფასებს მწერლობის საჭიროებას; მაშინ კი, რაც შეიძლება და ღონე ექნება, ის ეცდება მოახლოვდეს ეს სანატრელი დრო...

ბიბლიობრაფია

სიამოვნებით ვაცნობებთ ჩვენ მკითხველებს ერთი ჩვენი ქართული წიგნის გამოცემა: წასულ კვირას ძველი ქართული წიგნების გამოცემლობა (უ.უ. ნ. ბერძენიძე, პ. შიშკაშვილი და ბ. წერეთელი) გამოაცემს პირველი წიგნი **დავით ბურამის-მეილის** თხზულებისა, სახელად **„დავითიანი“**. როგორც „დროებაში“ იყო გამოცხადებული, ეს წიგნი დაიბეჭდა იმ ფულებით, რომელიც ზოგიერთა ლიტერატურის მოყვარეობა შესწირეს ძველი წიგნების გამოსაცემად. ამ პირველი წიგნის გაყიდვის შემდეგ, გამომცემლები შეუდგებიან სხვა ძველი წიგნების გამოცემას. ეს წიგნი კეთილ-სინიდიანათ არის გამოცემული. სულ ნ ბეჭდვის თაბახია და ათ შ აუ რ ა თ ა ლის. იმედია, საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ ჩვენი ძველი მწერლობის საუკეთესო თხზულებასა, რომელიც **მეილის** — **წიგნის** მაღაზიებში იყიდება და ქუთაისში — **უფ. ძალანდარიშვილთან** (სასულიერო სემინარიაში).

ახლა ამის მეტს არას ვიტყვი ამ წიგნზე; შემდეგში, იმედი გვაქვს, უფრო დავწერილებით მოვილაპარაკოთ.

რუსეთი

ზოგიერთ მერობის დიდ ქალაქებში, ქალაქის ფორტას გარდა, გამართულია ტელეგრაფები. რამდენსამე ქუჩაში არის ტელეგრაფის სტანციები და ვისაც მეორე ქუჩაში ან ქალაქის ნაწილში მცხოვრებისთვის მსურს საჩქაროთ წიგნის მიწერა, შეუძლია მივიდეს

ირსო, მეორე — მახლობელი ნაცნობი — ისე ჩაიარს, თითქო ვერ გიცნო, და ბღვერით გეუბნება, ვინ მოგახსენა, რომ მე იმ ქალს მივსდივდიო? მესამე მობრძის, რა დაგვიწერია, პოქალუსტა, მითხარი, ეს არის ორი ქალი გაჯავრებული შენ ფელტონზე ლაპარაკობდნო. ამას მეოთხე ვსწრება, და ამბობს — როგორ თუ რა დაუწერია, რაც ქვეყანაზე ქალეზია, ყველა ერთიანათ ლანდღვით მოუთხრიაო, დაუწერია, ყველანი ქუჩა ქუჩა დაეთრევიანო, ქმრებს სტოვებნო, კაცურ განსაცმელს იცმენ, ხმა მალა ბინძური სიტყვებით იღანძღებანო, — ერთი სიტყვით ქალე ასთვის ერთიანათ, საქვეყნოთ თავი მოუჭრია, და...

საჩივარი თქვენ, იქნება, ხუმრობა გეგონათ? — დამიჯერეთ, რომ ეს ხუმრობაც არ არის, და ხანდისხან ისეთი პირებიც არიან, რომელნიც მწერლებზე სჩივიან, შეურაცყოფით ახსენეს ჩემი სახელი ამა და ამ გაზეთშიო. — სად, როდის? — „აი, ბატონო“, — ამბობენ — ამა და ამ ნომერში პირდაპირ დაწერილია, ერთ სოფელში ერთი ცრუ კაცი არისო. შევლასთვის აშკარა საქმეა, რომ ეს ჩემზეა ნათქვამიო! —

თავის მახლობელ ტელეგრაფის სტანციაში და იქილამ გაუგზავნოს ეს წიგნი. ამისთანა ქალაქის ტელეგრაფი ამ მოკლებანში პეტერბურგშიაც გაუპარათო.

იაროსლავის გუბერნიის ერთ სოფელში გლეხები არ აპირებდენ თურმე ჯერ შკოლის გახსნას, თუმცა უფროსები უქადაგებდენ იმათ სწავლის სარგებლობას; მაგრამ ბოლოს, როდესაც თვითონ იმათმა მამასახლისმა ააშენა შკოლისთვის სახლი და დაიჭირა მასწავლებელი, ყველამ დიდის სიამოვნებით მისცა თურმე თავიანთი შვილები ამ შკოლაში.

ხელმწიფე იმპერატორს დაუბეჭდებია სახელმწიფო რჩევის აზრი, რომლის ძალით სახლობო შკოლების მასწავლებლები განთავისუფლებულნი იქნებიან რეკრუტობისაგან, ე. ი. იმათ სალდათად არ გააწვევენ.

უცხო ქვეყნების გაზეთებში არის დაბეჭდილი, რომ 1856 წლის კონვენციის თაბაზე კონჭერენცია 3 (15) დეკემბერს იქნება ლონდონშიო. მრთ პეტერბურლის გაზეთში ამაზე სწერენ, რომ პეტერბურლიდამ გაგზავნილი კურიერი 2 დეკემბერს მივა ლონდონშიო და მერე ლორდი ბრენვილი გაუგზავნის ყველა სახელმწიფოებს დაპატივების ქალღდასაო.

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ მომავალი წლიდგან უნდა გაუქმდეს რუსეთში მომრიგე მოშუამდგომლების (მიროვი პოსტრენიკების) თანამდებობა, რადგან იმათ გაუთავებიათ ყველა საგლეს-კაცო საქმეები.

ამავე გაზეთის სიტყვით, ის კამისია, რომელიც ბეჭდვის კანონების გასახილველათ იყო დანიშნული, სალდგომოთ ვაითავებს ამ განხილვასა და შემდგომ გამოიკება ბეჭდვის შესახებ ახალი კანონები.

ღვინობის და თამაქრს გამოფენაზე, რომელიც წელს ოქტომბერს იყო ოდესაში, სამხრეთი რუსეთის მეურნეობის საზოგადოებამ სხვათა შორის გადაწყვიტა, რომ მომავალ, 1871 წელს, ოდესაშივე ხილის გამოფენა გაგმართოთ.

თითქმის ყველა სამასწავლებლო სემინარიათან რუსეთში გახსნილია პირველ დასაწყისი შკოლები, სადაც წერა-კითხვა და საზოგადო-

რომელ ზეცას და რომელ წმინდას უნდა შევედროს კაცი, რომ მიენიჭოს ამ ჩვენ ზოგიერთ მკითხველებს ცოტადენი სხვისი აზრის და სიტყვის ხათრი და პატივი? როდის მოესწრება კაცი იმ ბუნდერ დროს, როცა აზრს, გონებას, ტენს ჩვენში საზოგადოების და იმისივე წევრების სახარგებლოთ მოქმედება და ღვაწლი შეეძლება? როდის მიხედება ამას საზოგადოება, როდის მისცემს ის ფართო გზას ვინებასა და აზრს, როდის დაანებებს ის თავს კეთილი აზრის წინააღმდეგობას და — მაგიერთ — აზრის გამგები, გამცხოველებელი აღმსრულებელი გახდება? როდის?

მანამდის, როგორც ჩვენშიამბობენ, ბარე ორი ტურა იკივლებს ტყეში. ამის გამო, ჩემო კეთილო მკითხველო, მეც იმ ნაირათ უნდა ვწერო, როგორც ეს დღევანდელი ფელტონი დაიწყე. რა ექნათ, მართალია, შენ უსარგებლოთ დაწერილი თაბახები გაუწებენ, შენ არ გიყვარს მეტი სიტყვები; გადაჭარბებული ლაყობა შენ თავს გაბეზრებს... მოცი. მაგრამ, ყოველ ჩვეულებას და სიყვარულს საძიკველად სამართლიანობა უნდა ედგას: ამ შემთხვევაში, შენ ხანდისხან, ჩინებულ კრესლოში წამოწოლილი რომ ხარ, და ჩემ ნა-

დოთ პირველდასაწყისი სწავლა თვითონ სემინარიების უფროსებს, მწერლებს მელში რიგათ ისინი სწერენ, მაგრამ ჩვენს ენევიან თავიანთ მომავალ საქმეს, ე. ი. ველის გადაცემის ხელობას. ამისთანა პირდასაწყისი შკოლა გაუხსნიათ ამქმად ერთ ტერბურლის ქალების გიმნაზიასთან, სადა რეთვე უფროსი კლასების ქალები ასწავლებენ პატარებსა. ეს შკოლა არის ღარიბი და მისი შეილებისათვის და ამიტომ იქ სწავლასათაა.

მიტებსკის გუბერნიის ერთ სოფელში კაცებს გაუხსნიათ პატარა შკოლა ოცდაცხუთწილისათვის, მაგრამ პირველ დღესვე დენი შაგირდები გამოჩენილან, რომ ყველა ტყეა შკოლაში შეუძლებელი საქმიო. ამისთვის წილი უყრიათ და ვინც უფრო ნიერი ყოფილა და ჰხვედრია წილი, მხოლოდ ის მიუღიათ.

ოჩის აზებო

იმ დღესვე როდესაც მოლტკესაგან უვიდა ტროშუს წიგნი, რომ ლუარის დაეამარცხეთ და ორღენი ხელახლად დეთო, პარიის მმართველობის ყველა რები მოსალაპარაკებლათ შეიკრიბნენ ერთ ამბობენ, რომ მრნესტ პიკარი ურჩევდა წევრებს, რომ სჯობია მოუჩივდეთ, თუ განი პირობები იქნაო. თითქმის ყველა მყოფი წევრები დეთანხმენ თურმე იმ წინადადებაზე. მაგრამ ამ დროს წამოდგა ტროშუ და აღვლცებული ხმით დაეწყო რაკი. იმან თქვა; „თვითონ ის გარკვეულად ნემცები გვიჩივენ მორიგებას, აცებს, რომ იმათი საქმე კარგათ არ მიდქმად ჩვენ ისეთ პირობებს შეგვძლივენ მელნიც ძალიან შემავიწროებელი იქნება და დავამცირებენ ჩვენ; მოელი საჭარადგა ახლა და პარიის მოსაშველათ მოზამთარიც გაუჭირვებს ნემცებსაც საქმესა რიქს ჯერ კიდევ შეუძლია გაძლება. რა არ უნდა გექონდეს ჩვენ გამარჯვების იმედი უკანასკნელი იმის სიტყვები იყო: „მოვივითო, სანამ შეძლება გვაქვს!“ ამბობენ, რომ ამ სიტყვას ისეთი გავლენა ჰქონდა წევრებზე, რომ ყველანი დათანახმდენ გაგრძელებაზე.

ნემცების ჯარი თან და თან მოდის მანიდამ საფრანგეთში. მართს ფრანკუ გაზეთში სწერენ, რომ ამ ქმად გამოაღანდერი (ძველი სალდათები, რომელნიც წერს უღარდელათ რომ თვალს ავლენ უსარგებლოთ დაწერილ სტრიქონებზე ვერდები, ჩვენ კანშიაც წარმოიდგინე თუნუ გვირისხდები: თუ მკითხველისთვის და უსიამოვნოა უხვირო და უსარგებ სტრიქონის წაკითხვა, ათასჯერ და ათასჯერ უფრო ძნელი და მომაცდინებელი მწერლისთვის ამ უხვირო სტრიქონებია რა, როცა საქმე ორიოდე სიტყვით დასქონათა მშვენიერათ გამოხატებოდა, ში აზრი ერთ ბისტათ მაინც რომ იფაღდეს.

მხლა — თუ გნებავს — ჩვენ მოთხრობა ვუბრუნდეთ. მაგრამ აქაც ისეთი გაღამჭირდება იმ „რალაცის“ დასწერათ, რომელი ჩემი მოთხრობის მოქმედი პირია ამბავი წრეულსაც ვერ გათავდებოდა. მაღამე ეს დღევანდელი მოთხრობაც იმ უნდა ჩაკუშნოს, სადაც გვარიანი ხანისნიყენებენ მისი უფროსი დაძმები. მევედროთ ზეცას, რომ დემერთმა მისი უკუნო განსვენება არ მიანიჭოს.

თხოვილნი იყვნენ) და ასი ათასი კაცი მი-
ღის პარიჟისაკენ.

— ერთი იტალიურს გ ზეთში სწერენ, რომ
უფროსი ვაჟი გარდაბლდა—მეორე ბარი-
ბაღის სიძე—მანცო და ზოგი სხვა აფი-
ციებიც საფრანგეთის სამხატურს თავს ანებე-
დნენ. მაგრამ, ამბობენ, რომ ეს ამბავი დასა-
ჯერებელი არ არის.

როცა ბერმანის ჯარი გარს შემოვრტყა
პარიჟს, ამ ჯარის წინამძღოლებს იმედი ჰქონ-
დათ, რომ შიმშილით დავიმოჩილებთ ქა-
ლაქსაო. მართლაც, ადვილათ საფიქრებელი
იყო, რომ ისეთი ქალაქი, როგორც პარიჟი,
რომელშიც ორი მილიონი არის დამწყვედ-
ული და რომელსაც არავითარი საშუალება
არა ჰქონდა პრაკინციებიდან, სარჩო ემოვნა—
ბევრი-ბევრი ორ თვეს შემდეგ უნდა დამორ-
ჩილებოდა მტერს. მაგრამ, როგორც თვითონ
ნემცები ამბობენ ახლა, ისინი მოტყუდნენ:
გერ სამ თვეზე მეტი გადის, რაც ეს ორი
მილიონი პარიჟელები დამწყვედული არიან;
ჯერ შინაურ პარტუტის და ფრინველების
ხორცი შესჭამეს იმათ და მერე ცხენის, კა-
ტის, ძაღლის და თავის ხორცს შეუდგნენ,—
და დამორჩილებას მანც არავინ არ ჰფიქ-
რობს. ამ სამი თვის განმავლობაში პარიჟის
მმართველობამ გამაგრა პარიჟის ფორტიბი,
გამართა და შეაიარაღა დიდძალი არმია და
გამაზადა საომრათ. ამბობენ, რომ, მიადგნენ
თუ არა ნემცები პარიჟს, იმ წამსვე რომ მო-
გინდომებინათ პარიჟის აღება, ძალიან ადვი-
ლათ შეეძლოთ, რადგან მაშინ თითქმის
არც თვითონ პარიჟში და არც პრაკინ-
ციებში ჯარი არა ყავდათ და არც ფორ-
ტიბი იყვნენ გამაგრებული. ერთი ინგლი-
სური გავითის კორკესზონდენტი იწერება,
რომ ნემცები ახლა შეუდგნენ პარიჟის აღე-
ბის მზადებასაო. ისინი აპირებენ თურმე ყუმ-
ბარების დაშენას სამხრეთით, სადაც კარგა ძა-
ლი ზარბაზნები და ყუმბარები აქვთ; ჯერ უნ-
და აიღონ ერთი რომელიმე ფორტი და შემ-
დეგ თვითონ პარიჟს დაუშენენ და ამ რიგათ,
მათი აზრით, დამორჩილებენ ქალაქსა. მარ-
ლატ როგორც უკანასკნელი ტელეგრაფები-
მ სჩანს, აღმოსავლეთით (ნოჟანის ფორტი-
ბი) მოსდგომიან ნემცები პარიჟსა და დაუშე-
ნათ ყუმბარები.

უცხო ქვეყნები

ავსტრია და ვენეცია

ჩეხურ გავითებში დაბეჭდილია ის ადრესი,
რომელიც 87 ჩეხის დეპუტატებს წარუდგე-
ნით ამ მოკლე ხანში აესტრა—მენგრიის
კანცლერის-ბეისტისათვის. ამ ადრესში სხვა-
თა შორის აი რას სწერენ ჩეხის ხალხის
წარმომადგენლები:

„აესტრიაში ისეთი წყობილობაა ახლა, რომ
ჩვენს არ შეუძლიანთ თავისუფლათ გამო-
ხადონ თავიანთი სურვილი და წარმოსთ-
ენ თავიანთი აზრები. ამ ჟამად ისეთი ამბე-
დობა მერობაში, რომ ამ საქმეებში გაურე-
ლობა ძალიან სამწუხაროა ჩეხის ხალხისა-
რის. ამის გამო ქვემოთ ამისა ხელის მომ-
ხრელნი, რომელნიც კამდონჯეომე ამოურ-
ბია ჩეხის ხალხს თავის წარმომადგენლებათ,
ირობთ რაცხვენ გამოსტყენ ჩეხების პო-
ლიტიკური აზრები.

„აბი, როგორია იმათი აზრები:
„ახლანდელი დროება თხოულობს, რომ
თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რო-
ელიც ეკუთვნის ყოველ განცალკევებულ
ხალხს, მინიჭებული ჰქონდეს აგრეთვე მთელ
საქსაც; ამიტომ რომ არ შეიძლება მთელ
ხალხს არ ჰქონდეს ის უფლებები, რაც ცალ-
კაცს აქვს. ის უფლება, რომლითაც ყო-
ველი ხალხს შეუძლია განაგოს თავის საკუ-
რებას, მინიჭებული ჰქონდეს ყველა ხალხს,
საქმეები, სხვა ყველა პოლიტიკური უფ-
ლებები წინ უნდა იდგეს. ყველა ხალხებს,

დიდსა და პატარებს, ერთნირი უფლება აქვთ
თვით-არსებობისა. როცა ხალხების უფლებებზე
ესჯით, იმათ სიძლიერეს და გასწყვეტი იარა-
ღების რიცხვის კი არ უნდა მივაქციოთ ყურად-
ღება; ასე რომ ექნათ, სუსტ ხალხებს წაერ-
თმევთ ყოველი უფლება; ყოველი მკაცრ ძა-
ლაზე იქნება დამოკიდებული, კაცის თავის-
უფლებას და ღირსებას სამხედრო დესპოტიზ-
ში შთანთქავს და განქრება ყველა საუკეთესო
ქმნილება კაცობრიობის კეთისა. თანეუფლე-
ბა და ძმობა, მშვიდობიანობა და კაცური კავ-
შირი ხალხებს შორის მხოლოდ მაშინ დამ-
კვიდრდება, როდესაც აღიარებენ, რომ ყველა
ხალხებს ერთნირი უფლება აქვთ თვით-არ-
სებობისა და როდესაც ხალხებს ერთმანეთის
პატივის ცემა ექნებათ.

„ჩეხის ხალხს ჰსურს, რომ ამ პრინციპე-
ბით ხელმძღვანელობდნენ აესტრიაში და რომ
ამ ნაირათ მკვიდრი და სამართლიანი კავში-
რი დაუფუნდეს იმ ხალხებ შორის, რომელ-
ნიც აესტრიის იმპერიას შეადგენენ“.

რაც შეეხება ახლანდელ პოლიტიკურ სა-
ქმეებს, ამაზე აი რას სწერენ ჩეხის დეპუტა-
ტები თავიანთ ადრესში:

„მერმანის, უიქველია, სრული უფლება
აქვს, აიღოს ხელში თოფი და მოიშოროს
თავიდან ის მტერი, რომელიც იმას დაეცა და
იმის შინაგან საქმეებში გარევის უპირებდა.
მაგრამ, თუ მერმანის ლტოლილება ის არის,
რომ ძალიან ჩაუტყნოს საფრანგეთს რომელი-
მე მმართველობა, ან წაართვას ისეთი მიწები,
რომლის მცხოვრებლებს არა ჰსურთ მერმა-
ნისთან შეერთება,—მაშინ ის დაარღვევს უც-
ხო ხალხის უფლებას და ძალას უფლებებზე
უპირატესობას მისცემს. ჩეხის ხალხს არ შე-
უძლია არ თანაუგრძნოს ჩინებულსა და კე-
თილ-შობილ საფრანგეთის ხალხს, რომელიც
იბრძვის სამშობლოსა და თავისუფლების და-
საცველათ, რომელმანც ისე ბევრი შესძინა
ცივილიზაციას და სხვაგვარ თავისუფლებას.
ჩეხის ხალხი დარწმუნებულია, რომ, საფრან-
გეთის მიწების დაპყრობის გამო, ასტყდება
დაუწყყარებელი და სასტიკი ომიანობა, რო-
მელიც უკან დასწყევს ცივილიზაციას.—ჩეხის
ხალხი აგრეთვე დარწმუნებულია, რომ უსა-
მართლობაა დაუშლონ დიდებულ რუსეთის
ხალხს, სურვალისა მებრ, გაამგროს შავის
ზღვის ნაპირები. აესტრიის მხრით ამ საქმეში
გარევა და დახმარება ერთი უდიდესთავანი სა-
ხელმწიფოს დამცირებისა—იქნებოდა ისეთი
საქმე; რომელიც არასოდეს არ მიეტევებოდა
იმა; ეს დამტკიცებდა, რომ აესტრიას არ ეს-
მის თავის საკუთარი სარგებლობა.“

მანცლერ ბეისტმა ეს ადრესი უკანვე დაუ-
ბრუნა ჩეხის დეპუტატებს და გამოაცხადა,
რომ იმათ, კონსტიტუციის ძალით, კანონმდ-
ბელი წესით შეუძლიანთ ითხოვონ, რაც
ჰსურთ. როგორც სჩანს, ბეისტი ძალიან გა-
უჯავრება ამ ადრესს; ის ამბობს: „არც ერ-
თი სახელმწიფო არ მისცემს შინაურ პარტი-
ებს ამ ნაირი მოქმედების ნებას. ამ ნაირი
მოქმედება—უფრო სასტიკი სიტყვა რომ არ
ვიხმაროთ—თავის ქვეყნის განდგომა არის.“
ბოლოს კანცლერი ამბობს, რომ მმართველობა
ენერგიულათ უნდა მოექცეს იმ პირთა,
რომელნიც ამისთანა საქმეებში ჩადიან.

— აესტრიის პარლამენტის უკანასკნელს
სხდომაში ერთმა ხალხის წარმომადგენელმა
ჰკითხა სამხედრო მინისტრს—როგორ მოიხმა-
რა მმართველობამ პარლამენტისაგან მიცემუ-
ლი ფულები და რა ცელილება მოახდინა
იმან არმიისაო. სამხედრო მინისტრის პასუხი-
დგან სჩანს, რომ აესტრიის ჯარები ახლა კარგ
მდგომარეობაში არიან; გაწერონილი (რიგუ-
ლიარული) ჯარის რიცხვი—864,849 არის;
ამას გარდა 187,000 კაცი ლანდვერში ით-
ვლება. ასე რომ ომიანობის დროს აესტრი-
ას შეუძლია ერთ მილიონზე მეტი ჯარი გა-
მოიყვანოს ბრძოლის ველზე. მთელ ამ ჯარს

ახალი (მსწრაფლ-მსროლელი) თოფები აქვს
დარიგებული. ზარბაზნებიც საკმაოთ არის.

საზარაზამთი

როცა ნემცები პარიჟს მიადგნენ, იმათ, თა-
ვის ოცი წლის გაწერონილი ჯარისა და ზარ-
ბაზნების გარდა; იმის იმედი ჰქონდათ, რომ
თვითონ პარიჟში არეულობა მოხდებოდა და
ჩვენ ამ არეულობით ეისარგებებოთ. ნაპო-
ლეონსაც დიდი იმედი ჰქონდა, რომ რეს-
პუბლიკა არ გაძლებს საფრანგეთში და ამი-
ტომ სცდილობდა; ნემცების დახმარებით, ისევე
დამრუნებელიყო პარიჟში. პირველ ხანებში
მართლაც ზოგან, და განსაკუთრებით პარიჟ-
ში და ლიონში, არეულობა იყო; მაგრამ,
როგორც ახლა იწერებინან გავითებში; ამ ჟა-
მად ყველგან და ყველა პარტიები დაწყყარე-
ბულან და არავინ არ ეწინააღმდეგება დროე-
ბით მმართველობასაო; ყველას ერთი აზრი
აქვს თურმე, რომ დაცვას გადიდებული
ნემცებისაგან სამშობლო და თავისუფლება.
რესპუბლიკური გავითი „Rappel“, რომელიც
წინეთ ძალიან უკმაყოფილოთ იყო დროებით
მმართველობისა, ახლა მეტი არ შეიძლება ისე
თანაუგრძნობს ტროშუს და იმის ამხანაგებს.
მართლაც ბლანკის გავითი „Patie en danger“
არ თანაუგრძნობდა ახლანდელ მმართველო-
ბას, მაგრამ პარიჟელები სრულიად არ ჰკით-
ხულობდნენ იმას, ასე რომ ბოლოს ეს გავითი
მოსპო. აგრეთვე ჩელიქს-პასის გავითი—
„Combat“—თანაგრძნობას უცხადებს ამ მმარ-
თებლობის განკარგულებებს.

— 20 დეკემბერს ბორდოში მისელიათ პა-
რიჟიდან ჰაერის ფორჩით გავზავნილი დეპუტა-
ტი, რომელიც 16 დეკემბერს ყოფილა დაწერი-
ლი. აი ეს დეპუტატი:

„დროებითა მმართველობამ გამოაცხადა, რომ
პური ულუფებათ არ გაიყიდებოთ; ვისაც რამ-
დანი უნდა, იმდენის ყიდვა შეუძლიაო. შე-
ქველია, პარიჟელები, თავის სამშობლოსა და
პატიოსნების დასაცველათ, არაფერს არ და-
ზოგვენ, თუ გაჭირება მიადგათ; მაგრამ, ლეთის
მადლით, ჯერ კიდევ იმდენი პური გვაქვს პა-
რიჟში, რომ საჭიროთ არა ერაცხთ ულუფე-
ბათ გავყიდოთ. პურის გაყიდვაში მხოლოდ
ერთი ცვლილება უნდა მოვახდინოთ: დღეის
შემდეგ პარიჟში გაისყიდება ყველასთვის; ლა-
რებისა და შემძლებელისათვის, მხოლოდ მო-
შავო პური. არც ხორციული შემოგვეკლება
ჯერა; სხვა და სხვა გვარი ხორცი ისყიდება
მმართველობისაგან გამართულს საყსაბოებში.
მამასადამე ხალხს არ შემოაკლდება ეს ორი
აუცილებლათ საჭირო საზრდო. ჩვენ შეეფი-
ცეთ ერთმანეთს, რომ სამშობლოს დაცვისა-
თვის არავითარ მსხვერპლსა და შიმს არ შე-
უდგებით და დარწმუნებული ვართ, რომ მა-
ლე შევასრულებთ ჩვენ წადილსა.“

— ერთი ინგლისური გავითის კორკეს-
პონდენტი ყოფილა მილდელსმგევი და ნა-
პოლეონთან ულაპარკნია. აი სხვათა შორის
რა უთქვამს ნაპოლეონს თავის საფრანგეთში
დამრუნებზე: „შეველამ უნდა იცოდეს, რომ
მე არც პრუსიის ხიმუტებისა და არც დატყე-
ვებული არმიის შემწეობით არ მოვიდომებ
ხელ-ახლავ საფრანგეთის ტახტზე დაჯდომას.
მე ერთად ერთი ხელმწიფე ვარ საფრანგეთი-
სა და ვხელმწიფობ არა თუ მართო წყალო-
ბითა ლეთისათა, არამედ ერის ამორჩეითაც.
საფრანგეთის ერმა ოთხჯერ დამტკიცა ჩემი
ამორჩევა, და ახლაც ამ ერმავე უნდა მომი-
ხმოს მე. არმიას ისეთივე ცოტა უფლება აქვს
დამაჯღინოს მე საფრანგეთის ტახტზე, რო-
გორც პარიჟის ადოკატებსა და ქუჩის მაწანწა-
ლებს ჰქონდათ უფლება ჩემი ამ ტახტიდან ჩა-
მოგდებისა. ამ საქმის გადაწყვეტა მხოლოდ
საფრანგეთის ერს შეუძლია.“

— აი რას იწერება ერთი ინგლისური გა-
ვითის კორკესპონდენტი საფრანგეთის მმარ-
თებლობის რეზიდენციის ტურიდამ ბორდო-
ში გადატანაზე. „რვა დეკემბერს, დილით, მე
შევიტყე, რომ მმართველობა 4 საათზე გადის

ტურიდამ. რადგან პრუსიელთა უფლებს წინად-
გნენ ტურს, ამისთვის წერილობითი კომისია
ჰქონდათ მართებლობის წევრებს, რომ სადმე
დასავლეთისაკენ გადაეტანათ თავის რეზიდენ-
ცია; ჭურიშონს უნდოდა ბრესტში გადასუ-
ლიყო მმართველობა, მაგრამ მამბეტა არ და-
თანხმდა; რადგან შორს ეიქნებოთ ბრძოლის
ველიდამაო; ის ურჩევდა ლიონში გადასვლას.
ბოლოს კი ბორდოში გადასვლა გადაწყვიტეს.

ლიუქსენბურგი

პრუსიას დიდ ბანია ჰსურს ჩიგდოს ხელ-
ში ერთი პატარა სახელმწიფო, რომელიც მდე-
ბარებს საფრანგეთის, ბელგიისა და შრუსიის
სამზღვრებს შუა. ჩვენ ვამბობთ ლიუქსენ-
ბურღზე; პრუსიას 1867 წელს უნდოდა დაე-
ყრო ეს პატარა ქვეყანა; მაგრამ მაშინ კიდევ
ძლიერმა ნაპოლეონმა და ინგლისმა არ მისცეს
ამის ნება და ამწლის კონვენციის პირობით
ლიუქსენბურგი თავისუფალი ქვეყანა უნდა
იყოს. ახლა ბისმარკმა კიდევ გამოძებნა მი-
ზეზი და უნდა ეს საგერცოგო მერმანის მი-
აკეროს. იმან მისწერა მერობის სახელმწიფო-
ებს, რომ ლიუქსენბურგმა, თუმც ამ ომში
ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ მანც
ფრანცუზების მხარე უჭირისო, ხორაგს და
თოფ-იარაღს უზიდავსო, იმათ აეთმყოფებს
უფლისო და ჩუმათ სცდილობს, რომ ჩვენ ნემ-
ცებს, როგორმე გვაეროსო. ამის გამო, უმა-
ტებს ბისმარკი, პრუსია აღარ სთელის თავის
თავს ვალდებულათ აღიაროს ლიუქსენბურ-
ლის ნეიტრალიტეტი და, როცა დრო მოვა,
ახლევიენებს იმას ფრანცუზების მიდგომას. ამ
ნოტამ, რასაკვირველია, ააღელვა ლიუქსენ-
ბურღელები, ყველგან ისმის იქ პრუსიის
უკმაყოფილება და ყველა მზათ არის, ყოვე-
ლის ღონისძიებით, დათვას თვითარსებო-
ბა. ლიუქსენბურგის პატრიოტიულობა კამიტე-
ტმა ხელმწიფესთან წარადგინა ადრესი, რომე-
ლსაც დიდ ძალმა ხალხმა მოაწერა ხელი
და რომელშიც ის აცხადებს, რომ ლიუ-
ქსენბურგი მტკიცედ და პატიოსნად იცავდა
ნეიტრალიტეტს და ამიტომ ის უარ ჰყოფს იმ
ბრალდებულებას, რომელსაც ბისმარკი ადებს;
ამასთანავე ამ ადრესში გამოცხადებული ლიუ-
ქსენბურგის ხალხის გულთბადი სურვილი,
რომ იმან დაცვას თავისუფლება და არ შეუ-
ერთდეს პრუსიას.

ოსმალეთი

ის გარემოება, რომ ოსმალეთი ამ მოკლე
ხანს დიდ ჯარს აგზავნის სამხრეთით არაბე-
თში, ამტკიცებს, რომ ომიანობას არ მოელის
1867 წლის ტრაქტატის დარღვევის გამო. ომი-
ანობას რომ მოელოდეს, არ გავზავნიდა ჯარს,
შინაც დასჭირებოდა. არაბეთში ხონთქარი
იმიტომ აგზავნის ჯარს, რომ იქ აჯანყებულა
ერთი იმის ქვემეგრდომი მაზრის (ასირის)
უფროსი, რომელსაც უნდა თურმე სულ მო-
სცილდეს ოსმალეთსა და თავის მაზრისაგან
ცალკე სახელმწიფო შეადგინოს. აი ამ ასი-
რის მმართველის დასამორჩილებლათ და და-
საჯულათ აგზავნის ხონთქარი 22,000 კაცსა.

წარსული კვირის ტელეგრაფები.

ს. პეტერბურგი, 17 დეკემბერს.
ლენერალ ბურბაკი, თავის არმიით, სამხრე-
თისაკენ მიდის, მერდერთან საომრათ.
— მადრიდში ლენერალ პრიმის მოკვლა
განუზრანათ; ის დაჭრეს.
— საფრანგეთში ძალიან სიცივეები დადგა.
— შალონიში 10,000 აეთმყოფი დაჭრი-
ლი ნემცი სწევს.
ს. პეტერბურგი, 19 დეკემბერს.
ბარიბაღლიმ დაიჭრა ლიქონი, რომელიც
ნემცებმა მიატოვეს.
— იტალიის კაროლი — მიქტორ-მანუი-
ლი—მივიდა რომს; ხალხი დიდს აღტაცებაშია.
— პრიმი მოკვლა დაჭრობისაგან. მად-
რიდი ძალიან ააღელვებულია. ახლად ამორ-

ეული კაროლის-ამედიის—მოხელა მსპანი- ში დაგვიანდა. — რუანთან ექვსი საათის განმავლობაში იყო გაცხარებული ბრძოლა და პრუსიელები უკუ აქციეს; ისინი გადენეს შვილიდამ, დიუ- ვალიდამ და შატო რომლიდამ.

ს. პეტერბურლი, 21 დეკემბერს.

ნემცები ღრდამ უკან დაბრუნდნენ.

— მონჭერენცია დანიშნულ დროზე ვერ შეიკრიბება.

— მსმალეთსა და მეგობრებს შუა უთან- ხმოება ატყდა.

— რუანთან დიდი ბრძოლა არის.

ს. პეტერბურლი, 22 დეკემბერს.

პრუსიელები გამოვიდნენ შინიდან და ბონ- ნიდან (პირველი ქალაქი 60 ვერსზეა და მე- ორე 80-ზე სამხრეთით მდებარეობდა.)

ს. პეტერბურლი, 23 დეკ.

პარიჟში 600 კაცი გაყინა.

— ნემცებმა დაუშინეს ყუმბარები ნოჟანის ჭორტს (პარიჟთან, აღმოსავლეთით).

— პრუსიელები, დიდის ზიანით, უკუ აქ- ციეს მანდომთან.

— საინიესა და ბეკთან პრუსიელები დაამარცხეს.

— ამედიე მივიდა მადრიდში.

ს. პეტერბურლი, 24 დეკ.

ბრაჭ ბეისტი თავის ნოტაში ამტკიცებს, რომ აესტრია და ბერმანია ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთსაო.

— დღეს, 24 დეკემბერს (5 იანვარს) ნემცებ- მა დაუწყეს ყუმბარების დაშენა პარიჟის სამ- ხრეთ ჭორტებსა.

— საფრანგეთის ჩრდილოეთის არმიამ ბონომ- თან დაამარცხა ნემცების ჯარები.

ს. პეტერბურლი, 25 დეკ.

მზ მოხსენებაში, რომელიც ხელმწიფე იმ- პერატორს წარუდგინა სამხედრო საქმეების მი- ნისტრმა, სწერია: სამხედრო სამსახურის ედა თ ხ უ ტ მ ე ტ ი წელიწადია; ნამდვილ სამსა- ხურში შ ვ ი დ წელიწადზე მეტი არაიქნა არ დარჩება. შოველ წელიწადს 21 წლის ყმაწვი- ლი კაცებიდამ ასში ოცდა ხუთი უნდა გამო- იწვიოს; თავის დახსნა სამხედრო სამსახური- საგან მოისპობა. ბანათლებული წოდების პი- რები 17 წლიდამ შეირიცხებიან სამხედრო სამსახურში და უფრო მკირე ხანს იმსახურე- ბენ, რომლის შემდგომ იმათ მიეცემათ აფი- ცრის ჩინები.

ნ ა რ ე ვ ი

მნიანობის გამოცხადებამდინ საფრანგეთში იყო სულ 8 მარშალი (უმთავრესი სამხედრო ჩინი), 85 დივიზი- ის ლენერალი და 160 ბრიგადის ლენერალი. ამათში ოთხი მარშალი ახლა დატყვევებულია ნემცებისაგან: მაკ-მაჰონი, ტან-რობერი, ბანენი და ლეგეზი; მაკ-მა- ჰონი სედანში დატყვევდა და დანარჩენი სამი მეცის კაპიტულაციისდროს. იმ 85 ლენერალში, რომელნიც ომ- ში საფრანგეთის არმიების წინამძღოლებათ იყვნენ, 22 სედანში დატყვევდა და 30 მეცში; ამისი ომში მოჰკლეს.

სუდის და ნაკლები საქმელის გამო პარიჟში ავთ- მუაფობა გახშირებულია და ამის გამო, როგორც იწე- რებთან, ახლა უფრო მეტი კვდებიანო, ვიდრე წინ. მართლაც წინეთ კვირაში აქ 1800 კაცზე მეტი ძვი- რათ კვდებოდა და ახლა კი ნოემბრის 17-დამ24- მდი 2,064 კაცი მოჰკვდარა. მომეტებული ნაწილი ყვავილისა და სახადისაგან კვდებიან თურმე.

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა წარუდგინა ანგა- რიში ამერიკის წარმომადგენლების პალატას, რომლი- დგანაც ვტყობილობთ, რომ მართა ეს შტატი ხარჯავს წელიწადში 2 კ ა ო ლ ე ბ ე — რვა მილიონ ნახევარ

დოლარს *). ამ შტატის შკოლებში ერთ ნახევარი მი- ლიონი უმწვილი დაიარება. (უნდა იცოდეთ, რომ ამერიკაში ვალდებულებითი სწავლა, ე. ი. ყველა დედ- მამა ვალდებულია ასწავლოს თავის შვილებს წერა-კი- თხვა მაინც).

მრთს ფრანცუზულს საქმიოა ქუჩნალში აწერილია ერთი გასაცარი სტომაქის პატრონი კაცი. ამ კაცს ისეთი მალა ჰქონდა, რომ, კი მოხედებოდა ხელში, ყველა- ჳერს პირში იტენიდა; ერთხელ იპს გადაეუღაპა პრო- ბკები და მუცელი ასტკენდა; ექითან რომ მიიყვანეს საწამლავათ, სტაცა ხელი იმის საათის ძეწვეს და ხელ- თათმანებს და უყვრათ გადაეუღა. 17 წლის რომ შე- იქნა, წონით ორ ფუთ ნახევარზე მეტი არ იყო, მაგ- რამ საათში ოცდა ოთხ გირეანქა ხორცს სჭამდა, თუ იშოვნიდა საღვე. მრთხელ დაეჭირა კატა ისე შეეჭამა, რომ ძვლების მეტი არა დაეტოვებია. იმას აძლევდნენ იმდენ ულუფას, რამდენიც რკა კაცს ეყოფოდა, მაგრამ მაინც ვერ ძღებოდა. საშინლათ უყვარდა თურმე გველი და ძლოკვი და, საცა კი დაიჭერდა იმათ, მიეღ-მთე- ლად უღაპავდა. მრთხელ კიდევ, აფიცრების თვალწინ იმან შესჭამა ოცდა ათი გირეანქა წილები და ქონის სანთელი; მეორეთ იმან მოიპარა თხუთმეტი მუშის სადილი და ერთი ნამცეცეც აღარ დასტოვა. ამბობენ, რომ ამ გასაკვირველმა სტომაქის პატრონმა კაცმა წლი- სა და ორი თვის ბავში შესჭამაო. სახით, კკუთია და უოფა-ქცევით ის სხვა კაცებში არაფრით არ გაიჩნებოდა თურმე.

ზოგიერთი სწავლულები ამტკიცებენ, რომ რა ცხო- ველსაც უფრო დიდი ტენი აქვს, ის უფრო კვიანიც არისო. მაგრამ ამ უქანასკნელ დროს ერთი ფრანცუზის სწავლულია ძოლენი, რომელმანც დაწერილებით გამო- იკვლია ეს საქმე და ბევრ ცხოველებს გაუსინჯა ტე- ნი,—ამტკიცებს, რომ ეს სრულიად უსაფუძვლოა აზრი- აო. მაგალითად, იმის გამოკვლევით გამოდის, რომ კაცის სხეული და ტენი რომ შევადაროთ მიმუნების, თავებისა და ზოგიერთი ფრინველებისას, გამოვა რომ სხეულის და ვფართო, ამ უქანასკნელ ცხოველებს უფრო მეტი ტენი აქვთ, ვიდრე ადამიანს, მაგრამ, ვინ იტყვის, რომ ესენი კაცებზე უფრო კვიანები იყვნენ? მაშა სა- დამე ტენის სიდიდზე არ არის დამოკიდებული.

დღე არ გავა თურმე, რომ საფრანგეთის მმართვე- ლობას არ წარუდგინონ ვალაყებმა ახლად მოგონილი კარტინიცები და თუ სხვა რამ კაცის სახოცი იარაღები. ამ ხანებში მოიგონეს, მაგალითად პარიჟში ისეთი კარტინიცები, რომელნიც მინუტში 400 მეტჯერ ის- ვრის და ერთი (ორთქლის) კარტინიცა მინუტში 4,500 ჯერ ისვრის. ამას გარდა, ვიდაცას მოუგონია „საღე- წი“ მაშინა, რომელიც ისე თურმე მოწყობილია, რომ არც ხმას უშვებს და არც კომლას; ეს საღეწი მაშინა დირს თუმანთ და სულ ხანის განმავლობაში 300,000- ჯერ შეუძლია გაისროლოს; ასე რომ, ყოველი იმის ტყეია რომ მოხდეს ნემცეს, მთელი იმათი ჯარის ამო- ხოცვა ფრანცუზებს სულ 30 მანეთად დაუჯდებათ.

„დროებში“ რამდენიმე მაგალითი იყო მოყვანილი თუ როგორ ეხმარებიან გაჭირებულ საფრანგეთს იქაური ქალები. მრთიე კიდევ მოგვცეს: მოგვსის მთებში ერთ ქალს მოუგროვებია თავისუფალი მსროლულები, წინ მიუძღვის და ბევრ ზანს აძლევს თურმე ნემცებს. გა- საკვირველია ამ კალის ცხოვრება: პატარაობიდანვე იმან გამოიჩინა კაცური ხასიათი; გასათხოვარი რომ შეიქნა, 1863, წაიდა პოლშიში, თავის დასთან, სადაც მი- იღო მონაწილეობა იქაურ არეულობაში; აქ დივიზიის ის და ციმბირში გაგზავნეს; ციმბირიდან გაიქცა და რა- მდონიმე წელიწადს პარიჟში სცხოვრებდა. შარშანწინ ავთამყოფობის გამო, ის წაიდა მოგვსის მთებში, სა- დაც ახლა მამულის დამცველები მოხვრიბა და გზისწვის პრუსიელებსა.

პარიჟის არხებისკომპოზმა დაიარა თურმე იქაური ლაზარეთები და ყველაგან ავთამყოფებს და დაჭრილებს

*) მრთი დოლარი — ჩვენ ფულზე — ექვს აბაზს უზალთუნს შეადგენს.

აზნევებდა და ურჩევდა იმათ, რომ განთავისუფლდნენ ავთამყოფობისაგან თუ არა, იმწამსვე წავიდნენ თავი- ანთ პოლკებში და ემძოდონ მტერსა. „სანამ სამშობ- ლოს არ დაიხსნიოთ, დამორჩილება აზრშია არ უნდა გაიფიქროთ, სთქვა არქიეპისკოპოზმა. მე ძალიან ვწუხ- ვარ, რომ ანაფორა არ მადღეს ნებას თოფით ხელში გავიღე რომელსამე ჭორტზე და ჩემი წილი დახმარება მეც უძღვნა გაჭირებულს საფრანგეთსა.

სიტის უბნის (ლანდონში) ვაჭრები და ბანკირები შეყრილან ამ მოკლე ხანს და ჰქონიათ ახლანდელ გა-

რემოებზე მოლაპარაკება. ამ კრებაში იმათ გად- წყვეტით, მმართველობას ვტყუარებოდა წინააღმდეგობა იქნება მოარჩოს პრუსიის (და სწავლულები) ვაჭ- რა. იმან უნდა აღიაროს ახლანდელი საფრანგეთის მარ- თებლობა.

მარსელის ეპისკოპოზმა ყველა თავის საეპისკოპოზოს მღვდლებს მისწერა, რომ რაც ზარბია მათ ეკლესიებ- ში ზარბანების გასაკეთებლათ მისცენ მმართველობას, მომეტებული ნაწილი გაზეთებისა ძალიან კმაყოფილო ეპისკოპოზისა ამისთანა პატრიოტული განკარგულებ- მოხდენისათვის.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

თფილისში იყიდება და მალე მუთაისსაც გაიგზავნება გუარამიანი ა ნ უ

დ ა ე ი თ ი ა ნ ი

ღავით ბურამიშვილის თხზულება

ბ. წერეთლის წინასიტყვაობით: „ღავით ბურამიშვილი და იმის წინა-დროები.“ ფ ა ს ი ა თ ი შ ა უ რ ი

ტფილისს ღებელირის (ბ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში და წიგნების მალაზიებში და მუთაისს ბერასიმე ძალანდარისშვილთან, და საგუბერნიო სტამბაში ისყიდება

ს ა უ კ ე თ ე ს ო ო ლ ნ ა

(ბუნების მეცნიერებებზე) თხზულება სობოლშნიკოვისა, ნათარგმნი და გამოცემუ- ლი „სასოფლო გაზეთის“ რედაქციისაგან. — ფ ა ს ი ხ უ თ ი შ ა უ რ ი.

იყიდება ტფილისს მართანოვის წიგნის მა- ლაზიში და ი. ბოგებაშვილისას.

ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი

შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან ფასი ორი რუბრი

ბ უ ნ ე ბ ის ქ ა რ ი

საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის საქარ- თველოს კარტითა შედგენილი ი. ბოგება- შვილისაგან. ფასი სამი აბაზი და ერთი რუბრი

ალადათოვის მალაზიაში ისყიდება.

ბ ა ვ შ ე ბ ის მ ო ვ ლ ე

ღარიგება ყმაწვილების შენახვისა თხზუ- ლა ნგლისის კოროლევის დოქტორის ძამბის ფასი ათი რუბრი

წიგნების მალაზიაში ისყიდება

ბ . ე რ ის თ ა ვ ის

თხზულება ავტორის პორტრეტით ფასი ორის წიგნისა სამი აბაზი

„ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ის“

რ ე დ ა მ ც ი ი ს ა ზ ა ნ

მომავალს წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია მ- დება წასულ წლებზე უკეთ ასრულოს თავის მოვალეობა. წინა წლებში ჩვენ გვინდოდა სამეცნიერო და სამეურნეო განყოფილებაში სტატიები სურათებითაც განვემარტებინა მაგრამ რა ღონისძიების იმედიც გვქონდა, ის არ აგვისრულდა და ამის გამო ჩვენმა ანგ- რიშმა ფუტათ გაიარა. ორიოდე სურათი კი დაგვეჭდეთ შარშან, მაგრამ მართა ამით გახდებოდა. მომავალს წელს იმედი გვაქვს, როგორც სურათებით, ისე თვითონ სტატიებ- ღირსებით გამოვისყიდოთ, რაც გასულს, წლებში დაგვაკლდა. რაიცა შეეხება ხელის მ- საწერს ფასს და სხვა პირობებს, ისევე ისე დარჩება, როგორც აქამომდე ყოფილა.

უმთავრესი ნაკლულევენება „სასოფლო გაზეთისა“ ის იყო, რომ მკვირცხლად განსჯიდა იმ მოთხოვნისაგან, რომელნიც ახლანდელს ჩვენს მდგომარეობას შეეფერებოდა მაგრამ მომეტებულ ნაწილათ რედაქციაზე არ იყო დამოკიდებული ამ ნაკლულევენებ- მოკვეთა. შემდგომ კი რამდენიც შეიძლება, მოხერხებას არ დავაკლებთ, რომ ეს ნაკლ- ლევენება შევამკროთ.

ხ ე ლ ის მ ო წ ე რ ა „ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ი შ ა“ შე ი ძ ლ ე ბ ა : თფილისში „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში ღუბილირის (ბ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, ხატისოვის სახლში სერგეიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

მუთაისში — ბერასიმე ძალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) სეიმონ ლოლბერიძისთან, სილაზე.

თფილისსა და მუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდგეი აღრესით შეუძლიათ დაიბარ- გაზეთი: ВЪ Тифлисъ въ контору Редакціи „Сельской Газеты,“ на углу Сололаковской Сергіевской улицъ, д. Хагисова.

ხ ე ლ ო ს ა წ ა რ ი ფ ა ს ი :

| | მუთაისში | ბ. წერეთლის | ბ. წერეთლის |
|---|----------|-------------|-----------------|
| მრთის წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში | — | — | 3 მან. — 4 მან. |
| ნახევარი წლისა | — | — | 1 მ. 50 კ. 2 მ. |
| ხელის მოწყობებს უმორჩილესათ ვაზოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალან თვისი ხელი გვარი და ადგილ-სამყოფი. | | | |